აი რას გვამცნობს შემდეგ წერილის ავტორი: „ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ამ კომისიის სხდომამ, მოახდინა იმით, რომ დავგრძედი, ილიას სახელი დღითი-დღე იზრდება, დღითი-დღე სათაუჯანო ხდება არა თუ უოველი ქართველისათვის, არამედ უოველი რიგიანი კავკასიელისათვის, ამ მხრივ ფრიად შესანიშნავი იყო მხატვარ გრინვესკის სიტყვები: „... ილიას სახელი არა მარტო ქართველებისთვისაა თაუჯანსაცემი, არამედ უოველი უცხოელისათვის, რომელიც საქართველოში დაბადებულია და აღზრდილია. მისი სახელის პატივისცემას ჩვენც ისეთი მოწიწებით და ისეთივე კრძალვით ვეკიდებით, როგორც ქართველი ერი და ჩვენც არასდროს არ მოვიტყენებთ, და არც არავის ნებას მივცემთ, მისი სახელის ხსენებას უდიერად და უკადრისად მოეჭვენო“.

ეს სიტყვები ჰრინვესკიმ 1912 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებაზე წარმოთქვა, ანუ ორი წლით ადრე, ვიდრე ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა I ტომი გამოვიდოდა ჰენრიკ ჰრინვესკის მიერ შემკობილი და დასურათებული. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი ბეჭდვითი საქმის მდგომარეობას საქართველოში, იმ სიძნელეებს, რაც მას თან ახლდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში მხატვარს უკვე დაწებული ჰქონდა აღნიშნულ წიგნზე მუშაობა, რომელიც 1914 წელს გამოსცა მიხეილ ალექსანდრეს-ძე გედევანიშვილმა, ცნობილმა ეკიმა და მეცნიერმა. 1885 წლის „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემის შემდეგ ეს აკადემიურად გაფორმებული პირველი წიგნი, მისი გამოშვების მიხედვით გედევანიშვილის სიტყვებით რომ ეთქვამთ, „... არის ოცნება საქმედ ქცეული, დიდი ხნის ნაფიქრო-ნაზარი ... ერთგვარი ცდა სალიტერატურო სამხატვრო გამოცემისა“ ჩვენი მხრიდან კი დავძენდით, რომ ეს მართლაც „ნაბიჯის წინ წადგმა“ იყო იმ დროის ქართულ ბეჭდვით და საგამომცემლო საქმეში. როგორც ცნობილია, მიხაი ზიჩმა

„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები ქართველ ხალხს სრულიად უანგაროდ უსახსოვრა. მე მჭერა, რომ ჰრინვესკიმაც იგივე გააკეთა ილიას ერთტომეულის გამოცემისას, თუცა ამის დამამტკიცებელი არანაირი საბუთი არ გამაჩნია.

იმ ხანებში საქართველოში უკვე იყვნენ მხატვრები, რომლებმაც საზღვარგარეთ შეისწავლეს მხატვრობის საფუძვლები, მაგრამ მხატვარი, რომელიც წიგნის ილუსტრაციას ხელოვნების დონეზე აიყვანდა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში არ იყო. სწორედ ეს თეთრი ადგილი შეავსო ჰენრიკ ჰრინვესკიმ და თანაც უმაღლეს დონეზე.

„ამ პერიოდში რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას ქართულ გრაფიკულ ხელოვნებაში ადგილი არ ჰქონია,— წერს ბენო გორდუხიანი თავის წიგნში „ქართული გრაფიკა“, — გამონაკლისს წარმოადგენს მ. გედევანიშვილის მიერ 1914 წელს გამოცემული ილია ჭავჭავაძის ერთტომეული, რომელიც შეამკო და დაასურათა ცნობილმა მხატვარმა ჰენრიკ ჰრინვესკიმ. შავი და თეთრი ლაქების ოსტატური გამოყენებით მან ერთგვარი სიახლე შეიტანა ქართულ ორნამენტულ შემოქმედებაში. მის მიერ შესრულებული ილუსტრაციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფერადი აკვარელები, სადაც საღი პატრიოტული პათოსით სავსე გმირები ცოცხლად მეტყველებენ და დღესაც რეალისტური სტილის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენენ“.

რა დასანანია, რომ ამ გამოცემის გამეორება ვერ ან არ მოხერხდა. ის ხომ ილიასაც დაამშვენებდა და ჰ. ჰრინვესკის სახელის პატივისცემაც იწვებოდა. არ მოვეცები თითოეული ილუსტრაციის აღწერა-გაანალიზებას, ჩემი მიზანი ეს არ არის. მაგრამ ვისაც უშუალოდ ამ წიგნთან ან ნამუშევრებთან კონტაქტი ჰქონია, მათ მოვუსმინოთ.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე: „იმ წლებს ე.ი. ბავშვობის წლებს მიეკუთვნება ჩემი პირველი

კონტაქტები ხელოვნებასთან, თვით ცოცხალ ნიმუშებთან, რეპროდუქციებთან, წიგნის ილუსტრაციასთან..... ემოციურად გაცილებით მეტი შთაბეჭდილება დატოვა ჰენრიკ ჰრინვესკის ფერადმა ილუსტრაციებმა..... ეველაზე მეტად „განდეგილი“ ლოცვამ სარკმლიდან შემოსული სხივის სვეტი, რომელზედაც სახარებაა დასვენებული. ეს ნახატები მერჩივნა ზიჩის ილუსტრაციებს „ვეფხისტყაოსნისათვის“. მე მგონია, მაშინდელია ჩემი პირველი მუსიკალური კართული სურათთომოდერულ ჯეკურთმასთან — კვლავ ჰრინვესკის გრაფიკული თავსართებისა და ბოლოსართების წყალობით იმავე გამოცემაში. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ ჰრინვესკის ახლო გავიცნობდი, რომ იგი ჩემი მსწავლებელი იქნებოდა ინსტიტუტში“. ჰრინვესკიმ დაასურათა ილიას „აჩრდილი“, „აკო უჩაილი“, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „განდეგილი“, „გლახის ნაამბობი“, „აკცია-ადამიანი?“, „გლახთა განთავისუფლების სცენები“, „ოთარაანთ ჰეროიზი“.

თუ არ ვცდები, მხატვრის ზოგიერთი ნამუშევარი დღესაც დაცული უნდა იყოს ლიტერატურის მუზეუმში. რამდენიმე სხვა ნამუშევარი დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ესენია: „პეიზაჟი“ (1907 წ.), „ვენეციის ბაზარი“ (1917 წ.), „ატენის სიონი“ (1919 წ.), „ბალერინა“ (1920 წ.), „მდინარე რიონის ნაპირი“ (1925 წ.). ერთი ნამუშევარი უკვე ჯაფარიძის სახლ-მუზეუმში ინახება. სავესებით შესაძლებელია, სხვა ნამუშევრებსაც მივაკვილოთ კერძო კოლექციებში.

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა პირველი ილუსტრატორის ძალა და პოპულარობა იმაშიც გამოიხატება, რომ ჰენრიკ ჰრინვესკის მომდევნო თაობის მხატვრები ილიას ნაწარმოებების დასურათებისას ძნელად უხვედნენ გვერდს მის მიერ საილუსტრაციოდ შერჩეულ მომენტებს. ხშირ შემთხვევაში იმდენად დამოკიდებულნი არებიან მასზე, რომ მ. ჰრინვესკის მიერ შესრულებული ილუსტრაციის ვარიაციად გეჩვენება. მხოლოდ იმ შემთხვევაში ამბობს

სიტყვას მხატვარ-ილუსტრატორი, თუ მისი ილუსტრაციები ნაწარმოების ავტორის შემოქმედების მხატვრულ დონესაც მიაღწევს და ნაწარმოების თავისებურებასაც ჩასწვდება.

ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინ მხატვარ სოსო გაბაშვილზე დაწერილ პატარა წიგნში, რომლის ავტორი გ. ჯაფარიძე იყო, ამოვიკითხე: „... არ გვეპატიება ჰენრიკ ჰრინვესკის ჩრდილში დატოვება, მით უფრო, რომ სამხატვრო აკადემიაში არა ერთი თარბა აღზრდილა მის შესანიშნავ აკვარებზე“. დიახ, არ გვეპატიება! თითქმის სამოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს 68 წლის მსოფლიო მხატვარი დილეგში ჩააგდეს და შემდეგ სიცოცხლე მოუსწრაფეს, ჩვენში კი მსურველი არ გამოჩენილა, საქართველოსათვის ეს თავდადებული სხვა ტომის კაცი ღირსეულად დეფაესებინა და პატივი მიეგო მისთვის. ამიტომ ჰრინვესკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ არსებული თუნდაც ეს მცირეოდენი მასალაც კი განსაკუთრებით ძვირფასია. მის შესახებ საუბრადღებო ცნობებს ვხვდებით აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის „მოგონებებში“: „1927 წლის 15 თებერვალს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ბრძანებით, დაარსდა სიძველეთა შესაფასებელი „სპეციალური კომისია“ ვუკოლ ბერიძის თავმჯდომარეობით (სიძველეებში ვგულისხმობთ 1921 წ. მაშინდელი მთავრობის მიერ საფრანგეთში გატარული ჭართულ განძს, ხელნაწერებს, ოქრომკედლობის ნივთებს, მინაწერებს, რომელთა ზედი კრიტიკული გამხდარიყო). კომისიის შემადგენლობაში იყვნენ გიორგი ჩუბინიშვილი, სურათების ეროვნული გალერეის დირექტორი, დიმიტრი შვეცარდნაძე, ისტორიის მუზეუმის დირექტორი სურგი გიორგაძე, მხატვრები ჰენრიკ ჰრინვესკი და იოსებ შარლემანი. კომისიამ შეისწავლა კატალოგები და მთელი არსებული ლიტერატურა გატანილი ნივთების შესახებ, დათვალა იერა ადგილობრივი მუზეუმები, გამოჰკითხა სხვადასხვა პირს და ამის შემდეგ წარადგინა თავისი ანგარიში. 1935 წელს ვუკოლ ბერიძემ პაროზიდან ექვთიმე თაყაიშვილის

მიერ გამოგზავნილი წერილი მიიღო. წერილი ეროვნული განძის მდგომარეობას უხებოდა იმ ხანად. ეჭვითმე თაყაიშვილმა, უკვეელი, იცოდა ამ კომისიის ამბავი და ამიტომაც მიმართა ვუკოლ ბერიძეს. ეჭვითმე წერდა: ნივთები უპატრონოდ არის გამოცხადებული, მე აღარა მაქვს საშუალება და უფლება, ნივთების დაცვასა და ჩეროვან შენახვას მეთვალყურეობა გავუწიოო....” (ეს წერილი საკმაოდ ვრცელი და დიდად საუურადღებოა, მაგრამ ამაზე აქ აღარ შევჩერდები.... მოგახსენებთ მხოლოდ, რომ ეს წერილი სრულად არის დაბეჭდილი შალვა ამირანაშვილის პატარა წიგნში „საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება“). ზემოთ აღვნიშნავდით, რომ 1912 წლის ქართულ პრესაში ჰ. პრინვესკის სახელი ივანე ჯავახიშვილის სახელის გვერდით მოიხსენიებოდა. როგორც ვხედავთ, 1927 წელს იგი კვლავ კომისიის წევრია, კომისიისა, რომელსაც საფრანგეთში ემიგრაციაში მყოფი ეჭვითმე თაყაიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ერთგვარ დახმარებასა და თანადგომას სთხოვდა.

საღად მოზროვნე ადამიანს არ გაუჭირდება სათანადო დასვენის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, თუ რა წონა ჰქონდა ჰენრიკ ჰრინვესკის საქართველოში: ანგარიშს უწევდნენ და ენდობოდნენ მის აზრს ილია ჭავჭავაძის ძეგლის, ილიას წიგნისა თუ ეროვნული განძის თაობაზე.

ჩვენ ვალში ვართ ჰენრიკ ჰრინვესკის წინაშე, საქართველომ უნდა დააფასოს მისი ღვაწლი. დარწმუნებული ვარ, ის მცირედი ცნობები, რომლებიც მოვიძიე, გამდიდრდება, გაფართოვდება და სრული გახდება. ალბათ, გამოიცემა ალბომიც ჰენრიკ ჰრინვესკის ნამუშევრებისა, გაკეთდება უველაფერი, რასაც ის იმსახურებს, რათა ნაწილობრივ მაინც გამოვიყიდოთ ამ შესანიშნავი მხატვრის, აღმზრდელისა და საზოგადო მოღვაწის წინაშე უღირსთა მიერ ჩადენილი დანაშაული.

Henryk Hryniewski (fragmenty)

ჰენრიკ
ჰრინევსკი

Dymitri Chachutaszwili²⁴
დიმიტრი ხახუტაშვილი²⁵

(...) Artysta wiele podróżował po Gruzji i stworzył wręcz nieoceniony, z plastycznego punktu widzenia, materiał—wykonał wspaniale szkice i akwarele prezentujące zabytki gruzińskiej architektury i ornamentyki.

W 1912 r. wraz z architektem Kalginem wygrał konkurs na projekt Gruzjińskiego Banku Szlacheckiego (obecnie jest to główny budynek Biblioteki Publicznej)²⁶.

Projektantem był Kalgin, twórcą dekoracji Hryniewski. Na konkurs zgłoszono sześć projektów, ale tylko ten jeden spełniał podstawowy warunek, odzwierciedlał „typowy styl gruziński”. (...)

Dorobek pedagogiczny Hryniewskiego jest również bogaty. Był przecież profesorem i dziekanem na Akademii Sztuk Pięknych. To on wprowadził do Akademii technikę akwareli i wyszkolił w tej technice wielu studentów. Był twórcą popularnego podręcznika metodyki nauczania perspektywy. Podręcznik ten do dziś nie stracił niczego ze swej merytorycznej wartości. Niestety, rosyjski oryginał podręcznika zaginął. Większą część jego rzeczy i spuścizny twórczej rozkradziono. Żonę Marię Perini (Włoszkę z pochodzenia), nauczycielkę baletu, deportowano z ZSRR po aresztowaniu męża. (...)

Hryniewski był bardzo oddany swojej ojczyźnie. Był nie tylko malarzem, ale także prężnym działaczem społecznym. (...)

²⁴ Malarz, profesor tbiliskiej Akademii Sztuk Pięknych.

²⁵ მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

²⁶ Chodzi o budynek Biblioteki Parlamentu Gruzji, zwanej Biblioteką Narodową, przy ul. Lado Gudiaszwilego w Tbilisi.

P.S.

W 1964 r. rzeźbiarz Aleko Gorgadze poinformował mnie, że dowiedział się od swojego przyjaciela z CzeKa o późniejszej rehabilitacji Hryniewskiego. Dokumentu rehabilitacyjnego nikt nie odebrał, ponieważ artysta nie miał w ZSRR żadnej rodziny, a ówczesne gruzińskie społeczeństwo było zbyt zastraszone, by miślić o takich sprawach. Żywią nadzieję, że dzisiejsze społeczeństwo okaże spóźnione wyrazy szacunku osobie, która poświęciła się bez reszty gruzińskiej kulturze, przyplacając to własnym życiemi.

დაიბადა 1869 წელს საქართველოში. წარმოშობით პოლონელი იყო. დაწეებითი განათლება ქუთაისში მიიღო. ხოლო უმაღლესი — იტალიაში, ფლორენციაში. 1922 წელს დაარსებული თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი პირველი პროფესორთაგანია. იგი პოლიტიკურ ტერორს ემსხვერპლა — 1937 წელს დაიღუპა.

პ. შ. ჰრინვესკის ბევრს მოგზაურობდა საქართველოში და ფასდაუდებელ მხატვრულ-დოკუმენტურ მასალას კმნიდა: იხატავდა ძეგლებს, რისთვისაც აკვარელის ტექნიკას იყენებდა. იგი ბრწყინვალედ ფლობდა ამ ტექნიკას და დოკუმენტური სიზუსტით, მაღალმხატვრულად ასრულებდა ქართული ძეგლების ჩანახატებს, სრულყოფილად გადმოსცემდა ქართული არქიტექტურული დეკორის მრავალფეროვნებას. 1912 წელს არქიტექტორ ანატოლი კალგინთან ერთად გაიმარჯვა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობის პროექტის კონკურსში (დღეს პარლამენტის ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსი). არქიტექტურა კალგინს ეკუთვნოდა, მრავალფეროვანი დეკორი — პ. შ. ჰრინვესკის. სულ ექვსი პროექტი იყო წარმოდგენილი. კალგინმა და ჰრინვესკიმ იმითომ გაიმარჯვეს, რომ მხოლოდ მათი პროექტი ითვალისწინებდა საკონკურსო პირობას — ქართული სტილის დაცვის აუცილებლობას.

მნიშვნელოვანია პ. შ. ჰრინვესკის მიერ გაფორმებული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ერთტომეული, რომელიც 1914 წელს მიხეილ გედევანიშვილმა გამოსცა. ამ ერთტომეულის გაფორმება მთლიანად მისია: ტიტული, მრავალი თავსართი და ბოლოსართი, სახედაო ასოები, ჩართული და მთლიანი ილუსტრაციები. გაფორმებისას გამოიყენებულა ქართული ჩუქურთმების გრაფიკული

გამოსახულებანი. უმეტესი ნაწილი ფერადია. ეს არის პირველი ფერადი ქართული გამოცემა, ქართველიმედიისეული ვეფხისტყაოსნის ერთ სურათს თუ არ ჩავთვლით.

უაღრესად მნიშვნელოვანია პ. შ. ჰრინვესკის პედაგოგიური მოღვაწეობაც. მას ერთ დროს სამხატვრო აკადემიაში დეკანოზა და პრორექტორის თანამდებობაც ეკავა. პ. შ. ჰრინვესკი იყო პირველი პროფესორული აკვარელისტი, რომელმაც ეს ტექნიკა დანერგა აკადემიაში და მრავალი სტუდენტიც აღზარდა. პ. შ. ჰრინვესკიმ შექმნა მეტად ხელმისაწვდომი და მარტივი მეთოდური სახელმძღვანელო პერსპექტივაში, რომლის მეთოდური ღირებებებიც თვლნათლივია. სამწესხაროდ რუსული ტექსტი არ შემორჩენილა. მისი ნივთებისა და ნაშუშვერების უმეტესი ნაწილი მიიტაცეს, ხოლო ბინაში მოქანდაკე ამირიოვი ჩანახლდა.

პ. შ. ჰრინვესკის ცოლად ჰყავდა იტალიელი მოცეკვავე მარია პერინი, რომელიც ოცდაათიან წლებში გაასახლეს საბჭოთა კავშირთან. მანამდე მან დიდი ღვაწლი დასწო ვახტანგ და თამარ ჭავჭავაძეებს, ელენე ჩიკვაძის, ლილი გვარამაძის, ირიზე ალექსიძისა და სხვათა პროფესიონალუბად ჩამოუალიბებას.

პ. შ. ჰრინვესკი თავისი შემოქმედებით ქვეშარიტად დიდებული ქართველი მხატვარი და საზოგადო მოღვაწე იყო. მისი დასუპქივა და განადგურებით ჩვენმა მამინდელმა საზოგადოებამ დაინა და გამოუწყორებული ბოროტება ჩადინა.

P. შ. 1964 წელს მოქანდაკე ალიყო გორგაძემ შემატუობინა, რომ, როგორც ერთმა მისმა მეგობარმა ჩეკისტმა, რეაბილიტაციის განუყოფილებს წევრმა, უთხრა, თურმე ჰრინვესკისათვის რეაბილიტაცია გაეკეთებინათ, ის ქალადლი კი არავის წაულო. პ. შ. ჰრინვესკის ჰიორისუფალი არ ჰყავდა და მისთვის ტერორიზებულ და დაშინებულ საზოგადოებაში არავის უცადა.

იმედია, ახლანდელი ქართველობა, ჩვენი საზოგადოება, მაინც მიაგებს დაგვიანებულ პატივს ადამიანს, რომელმაც მთელი შეგნებული სიცოცხლე ქართულ კულტურას მოახმარა და ბოლოს მოწამებობრივად აღესრულა.

Henryk Hryniewski i jego ilustracje do „Dzieł zebranych” Ilji Czawczawadzego²⁷ (fragmenty)

Meri Karbelaszwili²⁸

Henryk Hryniewski był osobą wykształconą i posiadającą wielką kulturę artystyczną. Jego działalność w Gruzji pozostawiła widoczny ślad²⁹.

Urodził się 6 listopada 1869 r. w Kutaisi, w rodzinie Polaka, Teodora Hryniewskiego, który pracował jako urzędnik miejski. Po śmierci ojca Hryniewski razem z matką wyjechał do Włoch. Tam, po ukończeniu uczelni technicznej, rozpoczął studia na Akademii Sztuk Pięknych, ale w 1889 r. zmuszony był wrócić do Gruzji, aby odbyć służbę wojskową.

Później kontynuował naukę w Niemczech na Wydziale Architektury na Politechnice w Karlsruhe. Jednocześnie kształcił umiejętności malarskie. Po ukończeniu studiów w 1895 r. wrócił do Włoch, gdzie zakończył rozpoczęte wcześniej studia malarskie.

W 1898 r. Hryniewski powrócił do Gruzji. Od tego momentu jego los jest silnie związany z kulturą kraju urodzin. Malarz miał bardzo szeroki krąg zainteresowań. Potrafił połączyć działalność artystyczną i pedagogiczną. Jednak najważniejsza była jego pasja historyczna. Fascynacja zabytkami dawnej architektury gruzińskiej trwała przez całe jego życie i nadawała jego pracom wyjątkowy charakter. Prowadził on też działalność społeczną. Świadczyć o tym mogą dokumenty wydawane w ilustrowanym załączniku do gazety „Moambe” („Wiadomości”). Najciekawsze z nich

²⁷ Patrz > przypis nr 8.

²⁸ Historyk sztuki, profesor, pracownik Instytutu Historii Sztuki Gruzjińskiej Akademii Nauk; zm. 2006 r.

²⁹ Z wdzięcznością muszę wspomnieć już nieżyjących malarzy: Dawida Cicişwilego i Dawida Gabaszwilego, którzy dużo opowiedzieli mi o swoim nauczycielu. Daty z życiorysu Hryniewskiego cytuję za Dawidem Cicişwiliem. [przyp. aut.]

to obrazy przedstawiające rzeczywistość rewolucji 1905 r. ³⁰ (...)

Pedagogiczna działalność Hryniewskiego propagująca sztukę użytkową była ściśle związana ze szkołą plastyczną³¹. Uczyl w niej od 1902 r., a w latach 1918-21 był jej dyrektorem. Od czasu założenia Akademii Sztuk Pięknych w Tbilisi, tj. od 1922 r. (do 1937 r.)³², był jej profesorem, a jednocześnie wykładowcą w Instytucie Przemysłowym. Hryniewski wykładał perspektywę, architekturę i akwarele.

Malarz Dawid Ciciszwili³³—wspaniały pedagog—wspomina, że Hryniewski dawał studentom ciekawe zadania, biorąc pod uwagę indywidualne możliwości i zainteresowania każdego z nich. Jego zajęcia inspirowały studentów. (...) Przyciągały ich wspaniałe książki i obrazy, ładne przedmioty i oczywiście atmosfera twórcza samej pracowni³⁴. (Zdjęcia tej pracowni po raz pierwszy zaprezentowała Eteri Ciciszwili)³⁵. Można bez przesady stwierdzić, że wszyscy malarze i architekci, absolwenci Akademii z lat 1920-30, byli uczniami Hryniewskiego.

Hryniewski jest autorem pracy o perspektywie linearnej, która została wydana w 1934 r. w języku gruzińskim. Tematyka ta była częścią jego wykładów. Jego autorstwa są też prace o klasycznym ornamentcie i o roli koloru w architekturze. Hryniewski wykonywał rysunki zabytków architektury gruzińskiej, pociągała go także twórczość ludowa³⁶. (...)

³⁰ Najważniejsze z nich to prace opublikowane w „Cnobis Purceli” („Arkusze Informacji”): „Starcia ormiańsko-azerskie w Tyflisie” (1906, nr 309), „Doprowadzenie Arsena Dżordżiszwilego do komendanta po zabójstwie naczelnika sztabu generała Griaznowa” (1906, nr 372), czy „Rewizja obywateli na ulicach Tyflisu” (1906, nr 376). [przyp. aut.]. (Patrz > Materiały archiwalne, Prace).

³¹ Tj. ze Szkoła Malarstwa i Rzeźby przy Kaukaskim Towarzystwie Krzewienia Sztuk Pięknych, przekształconą w Akademię Sztuk Pięknych. Sztuką użytkową zajmował się też Hryniewski w tbiliskim Komitecie Pękodziela.

³² Tj. roku jego aresztowania.

³³ Student w pracowni Hryniewskiego na Akademii Sztuk Pięknych w Tbilisi, późniejszy profesor tej uczelni.

³⁴ ავტორი გ. ზემუხაძის, მონოგრაფია, 1987. [Beridze W., Wspomnienia, Tbilisi 1987]. [przyp. aut.]

³⁵ Zdjęcia opublikowane zostały w książce: Цицишвили Э., Дизайнерское проектирование Грузии, Тбилиси, 1997. [Ciciszwili E., Gruziańskie wzornictwo przemysłowe, Tbilisi 1997]. [przyp. aut.]

³⁶ Ibid. s.14-15. [przyp. aut.]

Hryniewski—powszechnie uznany malarz i pedagog, miał 68 lat, gdy w 1937 r. stał się ofiarą politycznych represji. (...) Nie miał dzieci ani krewnych. Wielka spuścizna jaką pozostawił, została niemal doszczętnie zniszczona [podczas jego aresztowania i po nim]. Nieliewka część prac znajduje się w Gruzjińskim Narodowym Muzeum Sztuki im. Szawły Amiranaszwilego, niektóre trafiły do prywatnych kolekcji.

Wśród jego najbardziej znanych prac trzeba wymienić ilustracje do utworów Ilji Czawczawadzego. Tom ten został wydany drukiem w 1914 r. Było to wielkie wydarzenie w życiu kulturalnym Gruzji. Członkami komisji redakcyjnej byli: K. Abaszydze, J. Gedewaniszwili, I. Gomarteli, J. Zurabaszwili, G. Laschiszwili i I. Dżawachiszwili³⁷. Wydawcą książki był Michail Gedewaniszwili. W przedmowie napisał on: „To niezwykle zdarzenie, że wspaniałą książkę, zawdzięczamy wsparciu gruzińskiego społeczeństwa. Wśród subskrybentów są: księża i mnisi, robotnicy i chłopci, kupcy i urzędnicy. Dzięki wspólnej pracy i wsparciu mamy dziś książkę—perłę literacko-plastyczną. Stanowi ona wielki krok naprzód w dziedzinie gruzińskiego edytorstwa”³⁸.

Do książki dołączono materiały o życiu i działalności Ilji Czawczawadzego, autorami których byli Grigol Kipszydze³⁹ i Kita Abaszydze. W ich tekstach wyczuwało się wielki ból i uczucie pustki, które pozostały po zabójstwie Ilji.

Teksty ozdabiają zdjęcia—portrety pisarza i jego bliskich, fotografie miejsc związanych z jego biografią. (...) Członkowie komisji redakcyjnej dbali o odpowiednie rozmieszczenie tekstu na każdej stronie. W komentarzu

³⁷ Kita Abaszydze—pisarz, publicysta, krytyk, działacz społeczny; Josef Gedewaniszwili—pisarz, mecenas sztuki, działacz kulturalny; Iwane Gomarteli—lekarz, społecznik; Jakob Zurabaszwili—przedsiębiorca, mecenas sztuki; Giorgi Laschiszwili—publicysta, redaktor pisma „Iwerla”, współpracował też z „Moambe” („Dziennik”) i „Kwali” („Bruzda”); Iwane Dżawachiszwili—wybitny historyk, przewodniczący grupy założycieli Uniwersytetu w Tbilisi.

³⁸ ვაჟა-ფშაველას, თბილისის გუბერნიის მთავრობის გამოცემა, ტფ., 1914, წინასიტყვაობა. [Czawczawadze I., Dzieła zebrane, Tyflis 1914, wydanie Michaila Gedewaniszwilego]. [przyp. aut.]

³⁹ Grigol Kipszydze—publicysta, historyk, krytyk literatury i teatru.

od wydawcy (str. 3) Michaił Gedewaniszwili zaznacza, że wszystkie utwory Ilji Czawczawadzego w zbiorze ułożone są z zachowaniem zasady chronologii, czyli według daty powstania: „Komisja częściowo odeszła od tej reguły tylko w przypadku drobnych objętościowo utworów, gdy układ strony wymuszał rozmieszczenie kilku utworów na jednej stronie. Ale i tu starano się, aby chronologia była zawsze zachowana”.

Jednym z ważnych elementów przygotowywanej przez komisję publikacji była szata graficzna książki, która miała spełniać określone wymagania. Jeszcze pod koniec XIX w., kiedy G. Kartweliszwili wydał drukiem „Rycerza w tygrysięj skórze”⁴⁰, powstała konieczność znalezienia takiej formy graficznej, która nadawałaby książce określony, gruziński charakter. I to właśnie wtedy, po raz pierwszy, Grigoł Tatiszwili⁴¹ przekształcił ornamenty charakterystyczne dla gruzińskiej architektury w elementy graficzne i na ich bazie stworzył szatę graficzną wydania. Podobnie stało się przy okazji publikacji dzieł Czawczawadzego. Po tym, jak wspólny projekt Henryka Hryniewskiego i Anatolija Kalgina wygrał konkurs skierowany do architektów na projekt budynku Gruzjińskiego Banku Szałacheckiego⁴², było oczywiste, że to właśnie Hryniewskiemu zlecono przygotowanie oprawy plastycznej utworów Ilji Czawczawadzego. W owym czasie uchodził on bowiem za największego żyjącego mistrza akwareli i eksperta w dziedzinie gruzińskiej architektury. (...)

Tom „Dzieła zebrane” Ilji Czawczawadzego jest imponujący, zaś jego szata graficzna nad wyraz prosta. (...) Ilustracji do poszczególnych utworów nie wkomponowano w tekst, ale dodano je na oddzielnych stronach. Niektóre z nich są kolorowe. (...)

Inicjały i ilustracje wykonane są techniką akwareli. (...) Niektóre ilustracje umieścił Hryniewski tuż obok tekstu. W innych miejscach ozdobił strony jedynie pojedynczymi ornamentami charakterystycznymi dla gruzińskiej architektury. Te ornamenty umieszczone są

zazwyczaj na tle pejzaży. Właśnie takie ilustracje oddają najpełniej miłość malarza do pomników gruzińskiej przyrody i zabytków architektury. (...)

Malarz umieszcza postać lub detal architektoniczny na pierwszym planie, a pejzaż ukazuje w głębi, w odpowiednio zmniejszonej skali. Dzięki temu elementy na pierwszym planie są bardzo wyraziste. Przeciwstawienie planów tworzy określoną przestrzeń, ale nie wykracza poza płaszczyznę strony. (...) Obrazy planu drugiego w całości, albo częściowo, są ograniczone ramą. Kształt ram jest różny—okrągły lub prostokątny. (...)

Malarz z precyzją dokumentalisty podąża za opowiadaniem pisarza, przedstawiając postacie i ich otoczenie. (...) Z niezwykłą dbałością maluje domowe sprzęty, przedmioty codziennego użytku—dziecięcą kołyskę, arbę⁴³, czy ubiory przedstawiciele różnych warstw społecznych. (...) Niektóre ilustracje przedstawiają wnętrza domów i budynków. Dla przykładu, ilustracje do poematu „Pustelnik” ukazują wnętrza mieszkalne opracowane z wielką dbałością o szczegóły—wnęka z ikonami czy malowidła na ścianach wskazują na bogate życie duchowe mnicha. Ilustracje do opowiadania „Wdowa po Otarze” tworzą obraz wnętrza domostwa gruzińskiego chłopca. (...) W tym momencie należy koniecznie wspomnieć o ilustracjach do opowiadania „Czy to człowiek?!”. Na szczególną uwagę zasługuje ilustracja przedstawiająca dwie postacie: Luarsaba⁴⁴, który siedzi na balkonie swojego domu oraz Zarządcy stojącego na podwórku. Każdy detal jest przemyślany—ma za zadanie scharakteryzować postawę życiową obu bohaterów: niechlujnie sklecona ściana domostwa Luarsaba, chybotliwy balkon, wygląd samego Luarsaba—jego fajka, wysoka czapka, długie wąsy. Lejące się, leniwe ciało silnie opiera się o poręcz, a przed nim, w dole, sto schłodnie ubrany Zarządcą. Twarz Luarsaba Tatkaridzego sprawia wrażenie malowanej z natury.

⁴⁰ Patr z > przypis nr 18.

⁴¹ Grigoł Tatiszwili—grafik, twórca „gruzińskiej szkoły grafiki”.

⁴² გიგოლიძის ბენიქტის, გენიოვი ბონიფაციუსი, „საქეპრო”, 1989, № 1.
[Benaze W., Henryk Hryniewski, „Spektri”, 1989, nr 1], s. 50. [przyp. aut.]

⁴³ Arba—wóz dwukółowy powszechnie używany na gruzińskiej wsi.

⁴⁴ Luarsab Tatkaridze to główny bohater opowiadania—gruziński szlachcic słynący z lenistwa i wygodnictwa, nie stroniący od trunków i zabawy, trwoniący swój czas i majątek.

Poematowi „Widziadło” towarzyszyły motywy zaczerpnięte z gruzińskiego pejzażu. Kolorowy obraz przedstawia skalny wąwóz, a w głębi majestatyczne osnieżone góry. W tekst utworu wpisane są ilustracje przedstawiające perły gruzińskiej architektury—Mccchete⁴⁵ i stare Tbilisi. (...) Szczególnie ciekawie przedstawia się widok Tbilisi—wąwóz rzeki Mtkwari na lewo, twierdza Narikała na prawo, w centrum płaskie wzgórze Metechi. Dobrze widać stare domki, które istniały tam jeszcze w początkach XX w. Dziś praca ta ma wartość dokumentalną⁴⁶.

Zainteresowanie Hryniewskiego detalami charakterystycznymi dla określonej epoki historycznej, ubiorem i bronią, widać najpełniej w poemacie „Król Dymitri Tawdadebuli”⁴⁷. Na ilustracji otwierającej utwór przedstawieni są siedzący w cieniu drzewa pandurzysta⁴⁸ i jego słuchacze. Ilustracje włączone do tekstu nawiązują do czynów króla Dymitra: jego wyjazd z Tbilisi (król umieszczony jest pośrodku grupy jeźdźców), (...) spotkanie króla Dymitra z Chanem. (...) W obydwu kompozycjach uwagę przykuwają precyzyjnie opracowane detale—stroje osób świeckich, duchowieństwa, wojskowych, króla, Chana, jego namiot i ozdoby.

Paleta barw używana w kolorowych ilustracjach jest bogata, ale stonowana. Nawet w ilustracjach do poematu „Król Dymitri Tawdadebuli”, gdzie przedstawiony jest namiot szacha pelen wschodniego przepychu, malarz unika pstrokacizny i jaskrawych kolorów.

Ilustracja do „Pustelnika” wykonana jest w granatach i brązach. Tu dobrze widać, że malarz nienagannie włada techniką akwareli i z wirtuozerią przedstawia fakturę kamienia. (...)

⁴⁵ Starożytna stolica Wschodniej Gruzji (Królestwa Iberii), począwszy od III w. p.n.e. do V w. n.e., gdy król Wachtang Gorgasali przeniósł stolicę państwa do Tbilisi.

⁴⁶ Domki te, jak i sąsiadujące z nimi więzienie, zostały wyburzone w latach 50. XX w. Na wzgórze pozostała jedynie cerkiew Metechi z XIII w.

⁴⁷ Postać historyczna, król Dymitri II Tawdadebuli (1271-89). [Przydomek „Tawdadebuli”—oznacza człowieka, który sam złożył się w ofierze].

⁴⁸ Panduri—trzystrunowy gruziński instrument muzyczny.

Możemy tylko przypuszczać, że członkowie komisji redakcyjnej pomogli w wyborze, albo też określili ilość wykorzystanych w publikacji ilustracji. Doskonale poznali się na malarsko-graficznej interpretacji utworów Ilii Czawczawadzego w wykonaniu Henryka Hryniewskiego. Potwierdzeniem tego jest fakt, że w latach 20. XX w. Iwane Dżawachiszwili⁴⁹ powierzył właśnie Hryniewskiemu graficzną oprawę mapy historycznej Gruzji⁵⁰.

Ilustracje do „Dzień zebranych” Ilii Czawczawadzego ujawniają inspiracje i namietności Henryka Hryniewskiego. (...) Dziś książka ta jest bibliofilskim rarytatem, a z upływem lat nabrała prawdziwego uroku epoki, w której powstała. (...)

Hryniewski był pierwszym ilustratorem utworów Ilii Czawczawadzego. Jego prace wywarły wielki wpływ na malarzy gruzińskich, którzy po nim tworzyli ilustracje do wybranych utworów pisarza.

⁴⁹ Iwane Dżawachiszwili—patrz > przypis nr 37.

⁵⁰ Patrz > Materiały archiwalne, Dokumenty.

ჰენრიკ ჰრინესკი და მისი ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულისათვის

მერი კარბელაშვილი⁵¹

ჰენრიკ ჰრინესკი განათლებული, მხატვრული კულტურით გამორჩეული პიროვნება იყო. მისმა მოღვაწეობამ საქართველოში შესამჩნევი კვალი დატოვა.⁵²

წარმოშობით პოლონელი ჰენრიკ თევდორეს ძე ჰრინესკი დაიბადა ჭუთაისში 1869 წლის 6 ნოემბერს. მამამისი ჭუთაისში სამოქალაქო სამსახურში მსახურობდა. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი დედასთან ერთად იტალიაში გაემგზავრა, ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა ფლორენციაში და სამხატვრო აკადემიაში განაგრძო სწავლა, მაგრამ 1889 წელს ჭუთაისში დაბრუნდა, რათა სამხედრო ვალდებულება მოეხადა. შემდეგ გერმანიაში კარლსრუდის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურის ფაკულტეტზე სწავლობდა, პარალელურად აკვარელით ფერწერაში ოსტატდებოდა. 1895 წელს, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ისევ იტალიაში დაბრუნდა და სამხატვრო განათლების მიღება დაასრულა.

თბილისში ჰ. ჰრინესკი 1898 წელს ჩამოვიდა. ამ დროიდან მისი ბედი მჭიდროდ დაუკავშირდა საქართველოს კულტურას. მისი ინტერესების სფერო ფართო იყო — ორგანულად ათავსებდა შემოქმედებასა და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მაგრამ უმთავრესი იყო სიძველეებით, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებით გატაცება, რომელიც მთელ მის სიცოცხლეს გასდევდა ხანად და მის შემოქმედებას თავისებურ შინაარსს სძენდა.

⁵¹ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნე, პროფესორი; გარდაიცვალა 2006 წ. ⁵² მაღლიერებით უნდა გავიხსენოთ აწ გარდაცვლილი მხატვრები დაეით ციციშვილი და დაეით გაბაშვილი, რომლებმაც თავიანთი მასწავლებლის შესახებ ბევრი რამ მიაშხეს. ჰ. ჰრინესკის ბიოგრაფიის თარიღები მომავლოად დ. ციციშვილმა. [ავტორის სქოლიო]

მხატვრის ურადღების მიღმა არ დარჩენილა არც საზოგადოებრივი ცხოვრება. ამას მოწმობს დოკუმენტური ჩანახატები, გამოქვეყნებული გაზეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში. ამათგან განსაკუთრებით საუურადღებოა 1905 წლის რევოლუციის დროს მოხმადარი მოვლენების ამხანველი ნახატები. ნახატებისათვის შერჩეული სიუჟეტები მიგვანიშნებს, რომ მხატვარი დემოკრატიულ იდეებს იზიარებდა.⁵³

ჭ. ჰრინვესკის პედაგოგიური მოღვაწეობა დაკავშირებული იყო კახულ ხელოვნებათა ხელისშემწეობი საზოგადოების სამხატვრო სასწავლებელთან. ამ სასწავლებელში ის 1902 წლიდან ასწავლიდა, ხოლო 1918-1921 წლებში მისი დირექტორი იყო. თბილისის სამხატვრო აკადემიის დაარსებიდან, 1922 წლიდან, ვიდრე 1937 წლამდე ის აკადემიის პროფესორი იყო და შეთავსებით ინდუსტრიულ ინსტიტუტშიც მუშაობდა. ის ასწავლიდა პერსპექტივას, არქიტექტურულ ნახატს, აკაერული ფერწერას. მხატვარი დ. ციციშვილი — თვითონაც შესანიშნავი პედაგოგი — იხსენებდა, რომ ჭ. ჰრინვესკი სტუდენტებს ძალიან საინტერესო დავალებებს აძლევდა და ამასთან თითოეულის მიდრეკილებასა და შესაძლებლობას ითვალისწინებდა, რაც შეცადინეობას განსაკუთრებულ ხალისს ანიჭებდა. გ. ბერიძე მოგვითხრობს ჭ. ჰრინვესკის სახელოსნოს შესახებ, რომელიც სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთ კორპუსში იყო განთავსებული. მხატვარი ხშირად იქ მატარებდა ლექციებს.⁵⁴ სტუდენტებს იზიდავდა რომელიც წიგნები და სურათები, ღამნაზი საგნები, ხიზლავდა სახელოსნოს არტისტული განწეობილება (ამ სახელოსნოს ფოტო გამოაქვეყნა ეთერ ციციშვილი).⁵⁵

ჭ. ჰრინვესკის მოწაფე იყო თითქმის ყველა მხატვარი და არქიტექტორი, ვინც 1920-1930-იან წლებში თბილისში მიიღო უმაღლესი განათლება. ჭ. ჰრინვესკის ეკუთვნის ნაშრომი ხაზოვანი პერსპექტივის შესახებ, რომელიც 1924⁵⁶ წელს გამოიცა ქართულ ენაზე. როგორც ჩანს, ეს მისი ლექციების ნაწილი იყო. მას ჰქონდა ნაშრომები კლასიკური ორნამენტისა და არქიტექტურის გაფორმებაში ფერის გამოყენების შესახებ. მხატვარი მოზაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში — აწარმოებდა არქიტექტურის ძეგლების ჩახატვასა და აზოვას. მას ქართული ხალხური ხელოვნებაც იზიარებდა.⁵⁷

დაულაღი შრომის შედეგად ჭ. ჰრინვესკის მდიდარი მასალა დაუგროვდა, რომელსაც იგი პედაგოგიურ და შემოქმედებით პრაქტიკაში იყენებდა. ჭ. ჰრინვესკი აკვარელისტი იყო და ქართული არქიტექტურის ძეგლების უამრავი სურათი ჰქონდა შესრულებული. მის მიერ შექმნილი წიგნის დეკორი ილია ჭავჭავაძის თხოვრებათა გამოცემისათვის მკაცრად მუშავებულს, თუ რა სიფაქიზით აქიქვამდა მხატვარი ქართული ხუროთმოძღვრების სილამაზეს. არქიტექტორ ანატოლი კალგინთან ერთად მან შესარულა თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ზანკის შენობის პროექტი, რომელიც 1912 წელს კონკურსის შედეგად იქნა დამტკიცებული.⁵⁸ საკუთრივ არქიტექტორ ა. კალგინს ეკუთვნოდა, დეკორის დამუშავება — ჭ. ჰრინვესკის (ეს მშენიერი ნაგებობა ამჟამად პარლამენტის ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსია). ოსტატურად გამოიყენა ჭ. ჰრინვესკიმ ორნამენტული დეკორი, როცა 1926 წელს თბილისში რეინიგზის სამმართველოს შენობის ფასადის რეკონსტრუქცია განახორციელა.

ჭ. ჰრინვესკი, საუკეთესოდ აღიარებული მხატვარი და პედაგოგი, სამოედარვა წლისა იყო, როდესაც 1937 წელს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მის დაპატიმრებამდე საბჭოთა

⁵³ განსაკუთრებით საინტერესოა „ცნობის ფურცელში“ მოთავსებული შემდეგი ნახატები: სომხ-თათართა შეტაკება ტფილისში, 1906, №309; მოსახლეობის გაჩხრეკა ქუჩაში, 1906, №375; დამსკელი ექსპედიციის შტაბის უფროსის გენერალ გოჩაიხროვის მკვლელობის შემდეგ არსენა კორიანოვილის კომუნდანტის სამმართველოში წაყვანა, 1906, №372. [ავტორის სკოლი]

⁵⁴ ბერიძე გ., მოგონებები, თბილისი, 1987. [ავტორის სკოლი]
⁵⁵ Цицишвили З., Дивайинерское проектирование Грузии, Тбилиси, 1997. [ავტორის სკოლი]

⁵⁶ სტატიაში მითითებულია გამოცემის არახუსტი თარიღი. სინამდვილეში წიგნი 1934 წელს გამოიცა.

⁵⁷ ე. ციციშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 14-15. [ავტორის სკოლი]

⁵⁸ გ. ბერიძე, პერიკი ჰრინვესკი, „სპექტრი“, აღმანახი 1, თბ., 1989, გვ. 50. [ავტორის სკოლი]

კავშირიდან გაასახლეს მისი მეუღლე ეროვნებით იტალიელი მარია პერინი, რომელსაც თბილისში საბალეტო სტუდია ჰქონდა. მ. პერინის მოწაფეები იყვნენ ვახტანგ ჰაბუკიანი, ელენე ჩიკაიძე, ლილი გვარამაძე, ირინე ალექსიძე და სხვები. მ. პერინის მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ქართული საბალეტო სკოლის ჩამოყალიბებას. მ. პერინესკის შვილები და ნათესავეები არ დაჩრჩნია. მისი მდიდარი არქივი და მხატვრული მემკვიდრეობა, ძირითადად, განადგურდა. ნაშეუკრების მცირე ნაწილი მალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული, ნაწილი კი კერძო კოლექციებში დაიქსახა.

მხატვრის ნაშეუკრებთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ილუსტრაციები ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ერთობეულისათვის. ეს გამოცემა 1914 წელს ვანვორციელდა და საქართველოს ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლენას წარმოადგენდა. სარედაქციო კომისიის წევრები იყვნენ კ. აბაშიძე, ი. გედევანიშვილი, ი. გომართელი, ი. ზურაბიშვილი, გ. ლახსიშვილი, ი. ფანცხავა, ნ. ჩიგოგიძე, ი. ჯავახიშვილი. წიგნის გამომცემელი მიხეილ გედევანიშვილი იყო. წინასიტყვაობაში ის წერდა: „საერთოდ ქართველ საზოგადოების ერთსულოვან თანაგრძობას და დახმარებას უნდა მიეწეროს ის არაჩვეულებრივი მოვლენა, რომ ამისთანა ძვირფას წიგნს დღეს ვაწვდით უველას წოდებისა და შუბლების განურჩევლად. წიგნის დამკვეთთა შორის არიან თავიდან და ახნაური, მუშა და გლეხი, ვაჭარი და მოხელე, მღვდელი და ბერი. ამ შეერთებული შრომის და თანაგრძობის წყალობით დღეს გვაქვს წიგნი — ერთგვარი ცდა სალიტერატურო სამხატვრო გამოცემისა, რომელიც ნაბიჯის წინ წადგამდ მინდა დავსახო ქართულ ბეჭდვით და გამომცემლობით საქმეში.“⁵⁹ წიგნს დართული აქვს ვრცელი და საინტერესო წერილები მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომელთა ავტორები არიან გრიგოლ უფიშინე და კიტა აბაშიძე. მათ ტონში მკაფიოდ იგრძნობა მწვავე ტკივილი და დანაკლისის განცდა, რომელიც ილიას მკვლელობამ დაუტოვა საზოგადოებას. ტექსტს ამდიდრებს დოკუმენტური ფოტომასალა: მწერლისა და მისი ახლობლების პორტრეტები, მისი ბიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი

ადგილების ფოტოსურათები. უზრადლების მიღმა ვერ დარჩებოდა ამ გამოცემის მხატვრული მხარე. სარედაქციო კომისიის წევრები საღანგებოდ ზრუნავდნენ თითოეულ გვერდზე ტექსტის სათანადოდ განლაგებაზე. წიგნის შენიშვნებში (გვ. III) მითითებულია, რომ ილიას თხზულებები მათი შექმნის ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის დაბეჭდილი წლების, თვეებისა და რიცხვების გათვალისწინებით; „შხოლოდ იქ, სადაც თვით ელქსის ზომა და გარეგნობა მოითხოვდა რამდენიმე ელქსის ერთს გვერდზედ მოთავსებას, რაც უფრო მეტს შნოსა და სილამაზეს აძლევდა წიგნს, კომისია არღვევდა ამ წესს. მაგრამ ქრონოლოგია წელიწადების მიხედვით მაინც უოველთვის სასტიკად დაცულია“.

ცხადია, წიგნის მხატვრული გაფორმება ამ გამოცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარე იყო. ამიტომ მას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდნენ. კერძოდ XIX საუკუნის ბოლოს გ. ქართველიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის დროს გამოიყვანა ამოცანა, შექმნილიყო იმგვარი გაფორმება, რომელიც წიგნს სპეციფიკურ ქართულ იერს მიანიჭებდა. მაშინ გრიგოლ ტატიშვილმა ქართული ხუროთმოძღვრების ორნამენტები გრაფიკულად გადაამუშავა და წიგნის სამკაულის ელემენტები შექმნა. XX საუკუნის დასაწყისში ამგვარივე მოთხოვნა წაუყენეს არქიტექტორებსაც. სათავადაზნაურო საადგილმამულო ზანცის შენობის პროექტის საკონკურსო პირობის მიხედვით, შენობა „ქართული სტილის“ უნდა უოფილიყო. კ. კალგინისა და მ. პირინესკის პროექტი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელიც ამ პირობას აკმაყოფილებდა.⁶⁰ სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემის მხატვრული გაფორმება და ილუსტრაციების შესრულებაც სწორედ მ. პირინესკის მიანდეს. ამ დროისათვის იგი ცნობილი იყო როგორც ქართული ხუროთმოძღვრებაში განსწავლული საუცხოო აკვარლისტი. შეიძლება ითქვას, რომ მ. პირინესკი გ. ტატიშვილის მიერ დაწესებული საქმის გაგრძელებლად გვევლინება და თავისებური წვლილი შეაქვს ქართული წიგნის გაფორმებაში. იმასთან, ეს წიგნი გამოცემულია

⁵⁹ ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა, ტფ., 1914, წინასიტყვაობა. [ვერის სკოლიო]

⁶⁰ ვ. ბერიძე, მწერი პირინესკი, „საქეპრო“, აღმანახი 1, თბ., 1989, გვ. 50. [ავტორის სკოლიო]

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში საუკეთესო გამოცემებად მიჩნეული წიგნების დონეზე.

ილია ჭავჭავაძის „თხზულებანი“ სქელტანიანი წიგნია. მისი უდის გაფორმება უარესად სადაა. მუჭი მწვანე ფერის უდის კოთხეები, ყუა და უუოდან უდაზე გადმოსული ზოლი შავი ტკეციით არის დაფარული. შავი ზოდის ზემო ნაწილში მოთავსებულია ილიას ავტოგრაფი დამახასიათებელი ხეულებით. ყუაზე ამოტვიფრულ ჩარჩოებს შორის ოქროსფერი წარწერაა. მთამბეჭდავია შავი, მწვანე და ოქროს ფერების დახვეწილი შეხამება და მასალის მაღალი ხარისხი. ასევე მშვენიერი ხარისხისაა წიგნის ფურცლების პერგამენტის მკვირი ქალღი. ვერდებზე, ტექსტის ირგვლივ ფართო თითი არეგბია დატოვებული. ზომიერად არის გაფორმებული სატიტულო ფურცელი — ორნამენტთან ჩარჩოში მოთავსებული წარწერა. ორნამენტის წველის ნაწილი შავ ფონზე გრაფიკულად მკაფიოდ არის შესრულებული. ხლართის მოტივის შეცვლით წარწერის გასწვრივ ხაზასმულია ფურცლის განივი ღერძი. ზუსტად არის შეჩრეული მრგვლოვანი, ლამაზი შიფტით გაკეთებული წარწერების ზომები და ადგილი. ფრონტისპირზე მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის პორტრეტი, შესრულებული 1907 წელს გიგო გაბაშვილის მიერ. ტექსტში ცალკე ფურცლებზე ჩართულია ილუსტრაციები, რომელთაგან რამდენიმე ფერადია. წიგნის ტექსტს ამკობს თავსართები, ბოლოსართები, მთავრული ასოები. რამდენიმე ადგილას თავსართად გამოყენებულია ხელოვნების ცნობილი ნიმუშები. მაგალითად, ლექსს „ბაზალეთის ტაბ“ დართული აქვს ბეთანის ტაძრის კედლის მხატვრობის ფრაგმენტის რეპროდუქცია თამარ მეფის გამოსახულებით, ლექსს „პარიუი“ — რეპროდუქცია დელაკრუას სურათისა „თავისუფლება ბარიკადებზე“. შესავალ ნაწილში ამგვარი მასალის ჩართვა, ისევე, როგორც დოკუმენტური ფოტოებისა, არ არღვევს წიგნის მხატვრულ მთლიანობას, მათი აროდენობა, მასშტაბი და ადგილი კარგად არის გააზრებული.

წიგნის დეკორი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ერთ ჭვუფს შეადგენს ტუშითა და კალმით დახატული ბოლოსართები, რომლებისთვისაც არქიტექტურის ძეგლებს ორნამენტული მოტივებია გამოყენებული. ეს შავ-თეთრი

აქცენტები განსაკუთრებით ეფექტურია ლექსების ტექსტის ქვეშ დარჩენილ თეთრ სიბრტყეზე და კარგად ეხამება ასევე ტუშით დახატულ მთავრულ ასოებს. თავისი ხასიათით ეს დეკორი სატიტულო ფურცლის გაფორმებას უკავშირდება. საერთოდ დეკორის ელემენტები გარკვეულ სიახლოვეს ავლენენ გრიგოლ ტატიშვილის წიგნის გრაფიკასთან.

ამ წიგნის მხატვრულ სახეს, მის თავისებურებას განსაზღვრავს ჰ. ჰრინვესკის მიერ აკვარელით შესრულებული თავსართები, ბოლოსართები და ჩანართი ილუსტრაციები. თავსართებსა და ბოლოსართებს შორის არის ნახატები, რომელთა სიუჟეტები უშუალოდ ტექსტს უკავშირდება. ასეთებია, მაგალითად, ნახატები: „მუშა“, „იანჩარი“, „ქართლის დედას“, „გუთნის დედა“, „გლახის ნამამობი“ და სხვ. ეს ნახატები, ფაქტობრივად, ილუსტრაციებია, რომლებიც მათი ზომისა და წიგნის გვერდზე მიჩნეული ადგილის წყალობით წიგნის სამკაულის ფუნქციასაც ასრულებენ. მაგრამ არის თავსართები და ბოლოსართები, რომელთათვისაც მხატვარი უხვად იყენებს ორნამენტით შემკული ხუროთმოძღვრული დეტალების ჩანახატებს. ეს დეტალები პეიზაჟის ფონზეა გამოსახული. სწორედ ამ ნახატებში გამოვლინდა განსაკუთრებით მხატვრის დიდი ინტერესი და სიყვარული ქართული არქიტექტურის ძეგლებისა და პეიზაჟისადმი, რომელშიც ორგანულად ეწერება ძველი ციხეები და ტაძრები. ჰრინვესკი მათ მხატვარ-არქიტექტურის თვლით ხედავს. დეტალები ისეა დახატული, რომ ცხადია, მათ წინ უსწრებდა ნატურად ჩახატვა. ამ ძეგლების სიყვარულით და მათი სილამაზით აღტაცება ხდიდა შესაძლებელს თითოეული მოტივის ასე დაბიოთებით, დაწვრილებითა და, ამავე დროს, ცოცხლად შესრულებას აკვარელით ისე, რომ ორნამენტის ნახატის პლასტიკურობა და ძარღვიანობა უოფილიყო გადმოცემული. პეიზაჟები რომანტიკული განწყობით არის გამსჭვალული. ამ განწყობას გადმოსცემს ეკლესიების გუმბათები, ციხე-სიმაგრეების ნანგრევები, რომლებიც ნატურაშიც აღმანიან წარსულზე, სილამაზის წარმავლობაზე ფიქრსა და სევდას ჰჭვრის.

სიუჟეტური თავსართები, ისევე როგორც არქიტექტურული დეტალებისაგან შედგენილი

კომპოზიციები, ერთი და იმავე ხერხით არის დახატული. მხატვარი ფიგურას ან არქიტექტურულ დეტალს პირველ პლანზე ათავსებს. ხოლო პეიზაჟს შორს, სიღრმეში სათანადოდ შემცივებულ მასშტაბში გამოსახავს. ამის შედეგად პირველი პლანის გამოსახულება უფრო მოცულობითად გამოიყოფება. პლანების დაპირისპირება გარკვეულ სივრცობრივობას ქმნის, მაგრამ ეს სივრცობრივობა ზომიერია და ფურცლის სიბრტყე არ ირღვევა. მეორე პლანის ნახატები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩარჩოთია შემოზღუდული. მოჩარჩოების ფორმა სხვადასხვაგვარია. არის წრიული ან ტეხილი ხაზით მოხაზული ჩარჩოები, უფრო ხშირად კი ჩარჩოები სწორკუთხაა. ჩარჩოს გარეთ გამოტანილი პირველი პლანის გამოსახულება თავისიველად არის მოთავსებული და ტექსტით დაფარულ გვერდს ჰაერმომიულად უკავშირდება. პირველი პლანის გამოსახულებათა ამგვარი განლაგება შესრულების სილადის შთაბეჭდილებას ქმნის. ხოლო ნახატების ასიმეტრიული ხასიათი გვერდებზე მათი განთავსებისას ვარიაციების საშუალებას იძლევა. წიგნის დეკორატიულ გაფორმებაში ნახატების ჩართვის კარგი მაგალითია ორი გვერდი, რომლებიც ერთდროულად განიხილება ვადაშლილ წიგნში. მარცხენა გვერდზე მოთავსებულია ლექსი „დაე, თუნდ მოკვდე...“ და ბოლოსართი, მარჯვენაზე — ლექსი „ჰართვის დედას“ და თავსართი. მარცხენა გვერდზე ტექსტს მეტი ადგილი უკავია. ვიდრე ბოლოსართს არქიტექტურული ფრაგმენტებისა და პეიზაჟის გამოსახულებით. მარჯვენა გვერდზე კი თავსართ-ილუსტრაციას მეტი ადგილი ეთმობა. ვიდრე ტექსტს. თავსართზე გამოსახულია ჩუქურთმიან ქვაზე ჩამომდარი ქართული ქალი, რომლის ზურგსუკან ოთხკუთხა ჩარჩოში ჩასმული პეიზაჟია. ქალის ფიგურა წინა პლანზეა გამოტანილი და აკვარელი თითქოს ქვემოთ, ტექსტისკენ იღვრება. ასიმეტრიულია ნახატების კომპოზიციათა აგებაც და ნახატების გვერდებზე განლაგებაც. მაგრამ მათ შორის სრული თანაფარდობაა დამკარგებული. ამას ხელს უწყობს ბოლოსართისა და თავსართის ჩარჩოების გამოკრება, მარჯვენა კომპოზიციის ჩუქურთმიანი ქვა, რომელიც თითქოს ბოლოსართის მოტივის გაგრძელებას წარმოადგენს, და ლექსების წინ მთავრული ასოების შავი აქცენტები.

მხატვარი ნახატების განაწილებისას ფურცელს არ ტვირთავს და გვერდის ტექსტით დაფარულ ნაწილსა და ნახატს შორის კონტასწორებას აღწევს, რაც სიმშვიდესა და სილამაზეს ანიჭებს მთელ წიგნს თა ელკეულ გვერდს. სხვადასხვა მოხაზულობის ჩარჩოების გამოყენება ნახატის ცალკეული ნაწილების „ადირიბისათვის“ მოდერნის სტილის წიგნის გაფორმებაში ნაცადი, გავრცელებული ხერხი იყო და მოგვიანებითაც, 1920-იან წლებში, უურნალებლად და წიგნების გაფორმებაში იჩენდა თავს. მოდერნის ხელოვნების პრინციპს შესაბამება აგრეთვე რეალისტურად გაგებული და შესრულებული ფორმების დეკორატიულ მოტივებზე გამოყენება.

თავსართი და ბოლოსართი ილუსტრაციები, ისევე როგორც ჩანართი ილუსტრაციები, თხრობითი ხასიათისაა. თითოეული ნაწარმოებიდან მისი სიუჟეტის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ეპიზოდებია დასასურათებლად ამოირჩეული. ეს სრულიად კონკრეტული ეპიზოდებია და ჩანართი ილუსტრაციებს ტექსტიდან ამოღებული შესაბამისი სტრიქონები ერთვის. ტექსტში ადვილად იძებნება თავსართებითა და ბოლოსართი ნახატებით დასურათებული ადგილები. მხატვარი თითქმის დოკუმენტური სიზუსტით მისდევს მწერლის თხრობას, პერსონაჟების გარემოებისა და მათი გარემოს აღწერას. შ. ჰორნეცკი ძალიან თავშეკავებულია თავისი დამოკიდებულების გამოხატვისას და ამაში მისი კომოვენებისა და მხატვრის თვისება ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ სიუჟეტების შერჩევაში სოციალური მომენტების, სოციალური უსამართლობის ხაზგასმის ტენდენცია შეიმჩნევა, ნახატები მკვეთრ პროტესტს არ გამოხატავს. თავსართ-ილუსტრაცია პომპის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი უჩაჩლის ცხოვრებიდან“ ასურათებს ეპიზოდს, როცა ზაქროს მოხუცი მამა ბატონს ეახლა და შვილის დაბრუნება სთხოვა, მაგრამ მხატვარი გაროხვის სცენას კი არ ხატავს, არამედ ამ ეპიზოდის დასაწყისს. ბოლოსართზე წარმოდგენილია ტუეს შემფარული და დამეგობრებული ზაქრო და კაკო უჩაჩი. ჩანართი ილუსტრაციისათვის მეურმისა და ზაქროს შეხვედრის ეპიზოდი ალებულია. აქვე თანდათი კუდიგორის მთისა და შარაგზის ფოტო მხატვრის ნახატებს თავისებურ უტყუარობას ანიჭებს. მოთხრობა „გლახის ნაამბობის“ თავსართზე გამოსახულია

წიგნებით ხელში ძველ კედელთან ჩამორბედიანი გაზრდილი და მისი მეგობარი; ჩანართი ილუსტრაციებიდან ერთი ეძვრება გაბრიელისა და პეპიას პატიმრობიდან დახსნის ეპიზოდს, მუშა — სიკვდილის პირას მისული გაბრიელისა და მისი ძველი მასწავლებლისა და მოძღვრის შეხვედრას. ბოლოსართზე მოცემულია დათაკოსა და გაბრიელის ბოლო, საბედისწერო შეხვედრა, მაგრამ არა მათი შეტაკების მომენტი, არამედ მისი წინამორბედი — საუბრის სცენა. საინტერესოა ნახატები ლექსისათვის „მუშა“, თავსართზე გამოსახულია ძველი თბილისის ტიპური ფიგურა — მძიმედ დატვირთული კურტიანი მუშა, წელში მოხრილი, თითქოს წუთიერად შეჩერებული და მკითხველისაკენ მომხიარული. ბოლოსართზე იგივე მუშაა გამოსახული სახლის კედელთან ტვირთის ჩამოშვსნელად დასასვენებლად ჩამომხდარი. მხატვარს შეეძლო, ლექსიდან უფრო დრამატული, მძაფრი ეპიზოდი შეერჩია, მაგრამ მან დახატა ის, რასაც თვითონ ხედავდა ხოლმე თბილისის ქუჩებში.

